სსიპ ქ. ქუთაისის N19 საჯარო სკოლა

შენობის დასრულების სამუშაოების
სახელმწიფო შესყიდვის
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

ტენდერის სავარაუდო ღირებულებაა 3’407 (სამიათას ოთხას შვიდი) ლარი

CPV კლასიფიკატორის კოდი 45400000

ქ.ქუთაისი

2015 წ.

სატენდერო დოკუმენტაცია, პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი
სატენდერო წინადადება და მისი შევსების წესი

1. სატენდერო დოკუმენტაცია

1.1 სატენდერო დოკუმენტაცია არის დოკუმენტთა პაკეტი, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას შესყიდვის ობიექტის, სატენდერო პროცესის და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების თაობაზე.

1.2 სატენდერო დოკუმენტაცია მოიცავს:

1.2.1 სატენდერო წინადადების ფასსა და სამუშაოს ხარჯთაღრიცხვას (დანართი №1).

1.2.2 სამუშაოს შესრულების ვადებსა და ადგილს (დანართი №2).

1.2.3 მიღება-ჩაბარების წესსა და ანგარიშსწორების პირობებს და ვადებს (დანართი №3).

1.2.4 ტექნიკურ პირობების (დანართი №4).

1.2.5 საგარანტიო პირობასა და ვადას (დანართი №5).

1.2.6 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფორმას.

1.2.7 პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების ჩამონათვალს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

1.2.8 სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა დამატებით ასატვირთ ინფორმაციასა და დოკუმენტაციის ჩამონათვალს.

1.3 ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით და/ან სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად წარმოდგენამ ან ისეთი საკვალიფიკაციო დოკუმენტებისა და/ან სატენდერო წინადადების წარდგენამ, რომელიც არ პასუხობს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების და/ან სატენდერო დოკუმენტაციის ყველა მოთხოვნას, შეიძლება გამოიწვიოს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

1.4 ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

2. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი სატენდერო წინადადება

2.1 პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

2.1.1 სატენდერო წინადადების ფასისა და სამუშაოს ხარჯთაღრიცხვის შევსებულ ფორმას (დანართი №1);

2.1.2 თანხმობას სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ სამუშაოს შესრულების ვადებსა და ადგილზე, (დამატებით ატვირთული უნდა იქნეს სამუშაოს შესრულების დეტალური გრაფიკი)(დანართი №2);

2.1.3 თანხმობას სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების წესსა და ანგარიშსწორების პირობაზე და ვადაზე (დანართი №3);

2.1.4 ტექნიკური პირობები (დანართი №4);

2.1.5. თანხმობას საგარანტიო პირობასა და ვადებზე (დანართი №5);

2.1.6 სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელსა, გვარს;

2.1.7 სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც გათვალისწინებულია სატენდერო დოკუმენტაციით.

2.2 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცია და დოკუმენტაცია ერთიანობაში წარმოადგენს პრეტენდენტის სატენდერო წინადადებას, რომელიც უნდა აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების შეთავაზებისას.

2.3 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

2.4 სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენისას სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორიცაა: ტრანსპორტირების ხარჯები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, თუ მოსაკრებლები (მათ შორის დღგ - თუ სატენდერო განცხადებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული).

2.5 სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

2.6 სატენდერო წინადადების დანართი №1-ით წარმოდგენილი სატენდერო წინადადების საერთო ფასი (წარმოდგენილი, როგორც ციფრობრივად ასევე სიტყვიერად) უნდა შეესაბამებოდეს პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენისას ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ პირველად ფასს.

2.7 ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ, ხელშეკრულების გაფორმებამდე, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს საბანკო გარანტიის ფორმით.

2.7.1 საბანკო გარანტია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2-5 პროცენტის ოდენობით.

2.7.2 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოს შესრულების ვადებით განსაზღვრულ მიწოდების საბოლოო ვადას.

3. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების შევსების წესი

3.1 სატენდერო წინადადების ფასის, სამუშაოს ხარჯთაღრიცხვის ფორმა (დანართი №1).

- დანართი №1-ში იწერება - დანართის შევსების თარიღი, პრეტენდენტის დასახელება, შემოთავაზებული სატენდერო წინადადების საერთო თანხა (როგორც ციფრობრივად ასევე სიტყვიერად), ხარჯთაღრიცხვის - თითოეული ობიექტის ფასი, პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი.
- პასუხისმგებელი პირი შევსებულ ფორმაზე აწერს ხელს და ამოწმებს საწარმოს ბეჭედით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- დაუშვებელია დანართ №1-ში სხვა რაიმე პუნქტის, ველისა და ა.შ. დამატება.

3.2 თანხმობა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ სამუშაოს შესრულების ვადებზე (დანართი №2).

- ივსება მხოლოდ პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი.
- პასუხისმგებელი პირი შევსებულ ფორმაზე (თანხმობის ნიშნად) აწერს ხელს და ამოწმებს საწარმოს ბეჭედით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.3 თანხმობას სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ანგარიშსწორების პირობაზე და ვადაზე (დანართი №3).

- დანართი №3-ში იწერება - დანართის შევსების თარიღი, პრეტენდენტის დასახელება, პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი.
- პასუხისმგებელი პირი შევსებულ ფორმაზე (თანხმობის ნიშნად) აწერს ხელს და ამოწმებს საწარმოს ბეჭედით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.4 ტექნიკური პირობები (დანართი №4);

- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური პირობა უნდა შეიცავდეს იმ ინფორმაციას, თუ რა სახით და მეთოდოლოგიურად როგორ და რა მასალით განახორციელებს სამუშაოს (საჭიროების შემთხვევაში).
- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური პირობა შინაარსობრივად უნდა შეესაბამებოდეს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ტექნიკურ პირობას და არ უნდა შეიცავდეს სამუშაოს შესრულების ალტერნატიულ გადაწყვეტას.
- პასუხისმგებელი პირი მის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ პირობებს უსმევს თარიღს, აწერს ხელს და ამოწმებს საწარმოს ბეჭედით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.5 საგარანტიო პირობების შევსებული ცხრილის ფორმა (დანართი №5);

- პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს შესრულებული სამუშაოს საგარანტიო პირობა და/ან ვადა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნებს;
- პრეტენდენტის დასახელება, პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი.
- პასუხისმგებელი პირი შევსებულ ფორმაზე აწერს ხელს და ამოწმებს საწარმოს ბეჭედს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.6 სატენდერო წინადადების წარმოდგენისას ზემოაღნიშნულ დანართებთან ერთად ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს პრეტენდენტის რეკვიზიტები, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;

3.7 სხვა დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შევსების წესი განისაზღვრება დამატებით მოთხოვნებისა და/ან შენიშვნის სახით.

შენიშვნა:

- სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).
- გამარჯვებულმა კომპანიამ, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ვაჭრობის დამატებითი რაუნდების შედეგად დაფიქსირებილი საბოლოო ფასის შესაბამისი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა უნდა წარმოადგინოს, დანართი №1-ის მიხედვით. ამასთანავე საბოლოო ხარჯთაღრიცხვაში, პირველად ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებული (რომელიმე პოზიციაზე) ერთეულის ფასის ცვლილება ზრდის მიხედვით დაუშვებელია.

დანართი №1

შეონობის დასრულების სამუშაოების სატენდერო წინადადების ფასი (დღგ-ს ჩათვლით, ლარი)

___ _____ _____
(შევსების თარიღი)

_____ აღნიშნულ სამუშაოს გთავაზობთ _____ (_____) ლარად.

(პრეტენდენტის დასახელება) (თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვიერად)

შენიშვნა:

- **ხარჯთაღრიცხვა იხილეთ დამატებით ატვირთულ ფაილზე Excel-ის ფორმატი.**

სამუშაოს შესრულების ვადები და ადგილი

- სამუშაოების შესრულება უნდა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში
- სამუშაოების შესრულების ადგილია: ქ. ქუთაისი, მე-19 საჯარო სკოლის შენობა

_____ _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

შენიშვნა:

- ***<u>პრეტენდენტი დანართი ორის წარმოდგენისას ავტომატურად ეთანხმება ამ დანართში მოცემულ ყველა პუნქტს.</u>***

სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი და ანგარიშსწორების პირობები და ვადები

_____ _____

(პრეტენდენტის დასახელება) (შევსების თარიღი)

- ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით.
- მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაო ჩაითვლება მიღებულად საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.
- მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს აქტი და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.
- საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი დგება სამუშაოს მიწოდების დასრულების შემდეგ.
- სამუშაოს მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება სამუშაოს შესრულების ადგილზე.
- საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, შესრულებული სამუშაოების ***მოცულობების დადგენის*** მიზნით, ***მიმწოდებლის მიერ*** შესაბამისი ინფორმაცია ***(შემსყიდველთან შეთანხმებით - ამ შემთხვევაში მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება სამუშაოების დასრულების წინასწარი აქტი)*** ეგზავნება - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და/ან სხვა ***აკრედიტირებულ*** საექსპერტო ორგანიზაციას ექსპერტიზაზე.
- ექსპერტიზა განხორციელდება ***მიმწოდებლის*** მიერ (ჩასატარებელი ექსპერტიზის ვადა არ არის კავშირში სამუშაოს შესრულების ვადებთან).
- ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად, დასკვნის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

_____ _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

შენიშვნა:

- ***პრეტენდენტი დანართი სამის წარმოდგენისას ავტომატურად ეთანხმება ამ დანართში მოცემულ ყველა პუნქტს.***

ტექნიკური დავალება

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამუშავებულია სსიპ „საგანმანათლებო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ.
სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამუშავებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად.
შენობის დასრულების სამუშოების განხორციელებისას მიმწოდებლის მიერ დაცული უნდა იქნეს შრომის უსაფრთხოების ნორმები და პირობები, რაზეც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელ ორგანიზაციას.
მშენებლობის პერიოდში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტვერიანებისაგან თავის ასაცილებლად. ამ მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ნაგვის გატანა უნდა განხორციელდეს დახურული ღარებისა და კონუსური ნაგავსაყრელების საშუალებით. უზრუნველყოფილი უნდა იქნას ნაგვის ჩაყრა უშუალოდ თვითმცლელი ავტომანქანების ძარაზე.
საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულების პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ფასადებს საჭიროა ჩამოეფაროს ფარდა, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.
შენობის დასრულების სამუშაოებისას ჩასატარებელია სადემონტაჟო, კარებებისა და საჩეხების მოწყობის, სანიტარული კვანძების მოწყობისა და ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების განხორციელება. სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი მითითებულია ხარჯთარიცხვაში დანართი N1 და ამ დოკუმენტაციაში.
შენობის დასრულების სამუშაოებისას გამოყენებული ყველა მასალა უნდა იყოს ახალი, უმაღლესი ხარისხისა და შეესაბამებოდეს ამ საქონლისათვის დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს *(უხარისხო საქონლი არ განიხილება. უხარისხო საქონლის გამოყენების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს მიმწოდებელთან ხელშეკრულება და არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს უხარისხო საქონლით შესრულებული სამუშაოების ღირებულება).* მასალის ფერი და ნიმუში შეთანხმებული უნდა იყოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან.

შენიშვნა:

- *პრეტენდენტი დანართი ოთხის წარმოდგენისას ავტომატურად ეთანხმება ამ დანართში მოცემულ ყველა პუნქტს.*

საგარანტიო პირობა და ვადა

1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესრულებული სამუშაო იქნება ხარისხიანი, სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს და შეესაბამება სამუშაოს შესრულების ტექნიკურ პირობებს (დანართი №4).
2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ მიცემულ გონივრულ ვადაში განახორციელოს წარმოქმნილი ნებისმიერი დეფექტის (უწესივრობის) აღმოფხვრა, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
3. შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადები განისაზღვრება 3 წლის ვადით.

_____ _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

შენიშვნა:

- *პრეტენდენტი დანართი ხუთის წარმოდგენისას ავტომატურად ეთანხმება ამ დანართში მოცემულ ყველა პუნქტს.*

პრეტენდენტის მიერ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად (დანართი N1-N5 ჩათვლით), ერთიან ელექტრონულ სისტემასი ასატვირთი დამატებითი დოკუმენტაცია

1. რეკვიზიტები, კერძოდ:
    - პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება
    - ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
    - პრეტენდენტის იურიდიული /ფაქტიური მისამართი:
    - საიდენტიფიკაციო კოდი:
    - პრეტენდენტის ოფისის ტელეფონის ნომერი:
    - მობილური ტელეფონის ნომერი:
    - ელექტრონული მისამართი:
    - ბანკის დასახელება:
    - ბანკის კოდი:
    - ანგარიშსწორების ანგარიში:

2. ***<u>იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ არ იქნება წარმოდგენილი ზემოთ მოთხოვნილი ერთ-ერთი დოკუმენტიდან რომელიმე მაინც, განხორციელდება მისი დისკვალიფიკაცია.</u>***

3. ვაჭრობის დამტებით რაუნდებში ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა შემსყიდველ ორგანიზაციაში შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნით უნდა წარმოადგინოს - საქონლის ნიმუშ(ებ)ი - ნიმუშების ჩამონათვალი დამატებით ეცნობება პრეტენდენტს;
    - პრეტენდენტს შეუძლია დაესწროს მის მიერ წარმოდგენილი ნიმუშის შერჩევის პროცედურას (სურვილის შემთხვევაში, განხილვის პროცედურის დრო და ადგილი პრეტენდენტს ეცნობება დამატებით);
    - იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი ნიმუშის ხარისხი არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნას მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის", მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი შეუსაბამობა გამოწვეულია პრეტენდენტის არაკეთილსინდისერი ქმედებით;
    - პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი შესყიდვის ობიექტის ნიმუში დაზუსტებას არ ექვემდებარება;

ინფორმაცია პრეტენდენტთათვის

1. ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი არ გამოიყენება;

2. ტენდერში პრეტენდენტს არ აქვს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენის ვალდებულება;

3. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილებით, უარი თქვას ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების მოთხოვნაზე. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის “ მე-12 მუხლის მე-11-მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები;

4. სხვა დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ნატო კუხიანიძეს 577-67-53-55

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №----

ქ. თბილისი ”---” ”----------” 2015 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები და შესყიდვის ობიექტი

ერთის მხრივ, შპს _____ (მის: ქ. _____), წარმოდგენილი - მისი _____ სახით (შემდგომში ”შემსყიდველი”)

და მეორეს მხრივ,

_____ (იურიდიული მის: ქ. თბილისი, _____) წარმოდგენილი - მისი _____ სახით (შემდგომში ”მიმწოდებელი”), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონისა და ”გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მოთხოვნათა შესაბამისად, შემსყიდველმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი _____ სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელშიც, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის წინადადება შემდეგ თანხაზე: _____ (_____) ლარი (შემდგომში “ხელშეკრულების ღირებულება”)

2. ტერმინთა განმარტებები

2.1. “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.2. “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება შემსყიდველის მიერ გამოცხადებულ ტენდერში (SPA_____)

2.3. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ “ხელშეკრულება”) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, მასზე თანდართული, მიმწოდებლის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულების 2,2 პუნქტში მითითებული ტენდერისათვის, წარმოდგენილი, ყველა დოკუმენტით, კერძოდ:

2.3.1. სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა (დანართი №1).

2.3.2. სამუშაოს შესრულების ვადები და ადგილი (დანართი №2).

2.3.3. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი და ანგარიშსწორების პირობები და ვადები (დანართი №3).

2.3.4. ტექნიკური პირობა (დანართი №4).

2.3.5. საგარანტიო პირობები და ვადები (დანართი №5).

2.4. “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს _____, (შემდგომში ”სამუშაო”), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს მოთხოვნილი სამუშაო და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

3.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: ----------.

3.3. შესასრულებელი სამუშაო(ები)ს კონკრეტული დასახელება, განზომილება, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება სამუშაოს ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად (დანართი №1).

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ნებისმიერ ეტაპზე.

4.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ: _____ (შემდგომში ”ინსპექტირების ჯგუფი”)

4.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

4.3.1. გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს ვადების დაცვას;

4.3.2. დაადგინოს შესრულებული სამუშაოს შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

4.3.3. გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი მიმწოდებელთან და უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს მიღება.

5. სამუშაოს შესრულების ვადები და ადგილი

მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოს შესრულება განახორციელოს სამუშაოს შესრულების ვადებისა და ადგილის შესაბამისად (დანართი №2).

6. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაო ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს აქტი და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6.3. მიღება-ჩაბარების აქტი დგება სამუშაოს (ან მისი ნაწილის) ყოველი მიწოდების დასრულების შემდეგ.

6.4. სამუშაოს მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება სამუშაოს შესრულების ადგილზე.

6.5. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, შესრულებული სამუშაოების მოცულობების დადგენის მიზნით, შესაბამისი ინფორმაცია ეგზავნება - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზაზე (ექსპერტიზა განხორციელდება შემსყიდველის დაკვეთით - ჩვეულებრივი მეთოდით, რაც თავის მხრივ გულისხმობს დაახლოებით 30 კალენდარულ დღეს. მიმწოდებელს უფლება აქვს მიმართოს აღნიშნულ ორგანიზაციას და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის საინჟინრო ექსპერტიზა განახორციელოს დაჩქარებული მეთოდით, რის ხარჯებსაც აანაზღაურებს მთლიანად მიმწოდებელი).

6.6. სამუშაოს (ან მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით დადგენილი, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე;

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების წესისა და ანგარიშსწორების პირობებისა და ვადების შესაბამისად (დანართი №3).

7.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების 10.3 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.

7.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

8. საგარანტიო პირობები და ვადები

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესრულებული სამუშაო იქნება ხარისხიანი, სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს და შეესაბამება სამუშაოს შესრულების ტექნიკურ პირობებს (დანართი №4).

8.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას შესრულებულ სამუშაოზე, საგარანტიო პირობისა და ვადების შესაბამისად (დანართი №5).

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

9.1.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

9.1.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

9.1.3. 9.2 და 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, საწარმოო აუცილებლობიდან გამომდინარე, ცალმხრივად (მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

9.2.1. მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

9.2.2. მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

9.2.3. მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას.

9.2.4. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

9.2.5. შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

9.3. ხელშეკრულება ჩაითვლება ავტომატურად შეწყვეტილად, თუ 10.3 პუნქტის შესაბამისად დაკისრებულმა და მიმწოდებლის მხრიდან აუნაზღაურებელმა პირგასამტეხლოს ჯამურმა თანხამ, გადააჭარბა საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის 95 პროცენტს.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

10.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

10.3. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას: სამუშაოს შესრულების ვადებით გათვალისწინებული, ვადების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს გრაფიკით შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის;

10.4. ხელშეკრულების 13.3 პუნქტის თანახმად, შემსყიდველის მიერ საბანკო გარანტიის თანხის (გარანტისაგან) მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი თავისუფლდება 10.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსაგან, გარდა ხელშეკრულების 7.3 პუნქტის თანახმად უკვე გამოქვითული პირგასამტეხლოს თანხისა, რომელიც უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

10.5. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

10.5.1. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით.

10.5.2. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 10.5.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპეტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

10.5.3. ხელშეკრულების 10.5.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის დაუბრუნებლობას.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს

ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

13.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგადაც იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

13.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

14. ხელშეკრულების სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი;

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლიარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის ---------- ჩათვლით.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

_____

მის: _____

ტელ: (995 32) _____.

_____

ა/ა _____; ბანკის კოდი: _____

საიდენტიფიკაციო კოდი: _ _____

"მიმწოდებელი"

_____

მის: _____

ტელ: (995 32) _____.

_____

ა/ა _____; ბანკის კოდი: _____

საიდენტიფიკაციო კოდი: _ _____